ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 137

ქალაქი ქუთაისი 30 იანვარი 2019 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის
14 მარტის №61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მარტის №61 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. განკარგულების დანართის – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის №47 და №253 პუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი	სარეგისტრა–ციო ნომერი	საწყისი საპრივა–ტიზაციო საფასური	აუქციონით განკარგვის ფორმა	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
47	მიწის ნაკვეთი დამხმარე ნაგებობით	ქალაქი ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი, I შესახვევი, №2-ის დასავლეთით	238	03.06.25.424	23920	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში
253	მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №21ა-ს სამხრეთით	2602	03.01.24.215	135 ლარი 1 კვ.მ.-ზე	აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია შეძენილ ქონებაზე ორი წლის განმავლობაში განახორციელოს 400000 ლარის ინვესტიცია	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი წლის განმავლობაში

2. განკარგულების დანართს – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №260 – №262 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის

№ 137 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და

სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გ ე გ მ ა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივა-ტიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
260	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ოცხელის ქუჩა, II ჩიხის მიმდებარედ	99	03.05.26.064	115.0 (1 კვ.მ.-ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
261	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქუჩა №160	1558	03.06.21.171	115.0 (1 კვ.მ.-ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
262	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, სულხან–საბას გამზირი №65-ის მიმდებარედ (ნაკვეთი №2)	448	03.05.28.151	32.0 (1 კვ.მ.-ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია